გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 145

2023 წლის 11 აგვისტო

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გორში, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ ს/კ 66.45.07.306 უძრავი ქონების (კომერციული დანიშნულების ობიექტი), პირობიანი აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში, 2023 წლის 12 ივნისს (მუნიციპალიტეტის რეგისტრაცია: N19/202316342-08) და 2023 წლის 17 მაისს (მუნიციპალიტეტის რეგისტრაცია: N19/2023137214-20) შემოსულია განცხადებები, რომელშიც იჯარის ფორმით მოთხოვნილია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ 66.45.07.306 უძრავი ქონება (მისამართი: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ).
აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის" მიერ 2023 წლის 17 ივლისის N 212-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 387.00 კვ.მ და მასზე განთავსებული კომეციული დანიშნულების შენობა N1, საერთო ფართით 143.40 კვ.მ (მისამართი ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ), საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა 228,000 (ორასოცდარვა ათასი) ლარით.

გამომდინარე იქიდან, რომ გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლების მიღების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გორში, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ ს/კ 66.45.07.306 უძრავი ქონების პირობიანი აუქციონის წესით, დროებითი სარგებლობის უფლებით (იჯარა)

გაცემა, რისთვისაც საჭიროა ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო ღირებულება და ქირის საწყისი წლიური საფასური.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის, საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 387.00 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა N1, საერთო ფართით 143.40 კვ.მ (მისამართი: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ, ს/კ 66.45.07.306), გასცეს, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით.

2. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 387.00 კვ.მ და მასზე განთავსებული კომეციული დანიშნულების შენობა N1, საერთო ფართით 143.40 კვ.მ (მისამართი ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ, ს/კ 66.45.07.306), საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 228,000 (ორასოცდარვა ათასი) ლარით.

3. საწყისი წლიური საიჯარო ქირა ს/კ 66.45.07.306 უძრავ ქონებაზე განისაზვროს 12000 (თორმეტი ათასი) ლარით.

4. იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 5 (ხუთი) წლის ვადით.

5. აუქციონის პირობად განისაზღვროს: ს/კ 66.45.07.306 უძრავი ქონება იჯარის ფორმით გაცემულ იქნეს კომერციული დანიშნულებით. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც ორი კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს). იჯარის ფორმით გადაცემული ქონება გამოთავისუფლებულ იქნას ,,მოიჯარის" მიერ საკუთარი ხარჯებით. ასევე, ს/კ 66.45.07.306 უძრავი ქონების მიმდებარედ განხორციელდეს მოვლა-პატრონობა (სანიტარული, ჰიგიენური ნორმების დაცვა).

6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე